# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 256 სამშაბათი, 17 ნოემბერი 1909 წ. № 256

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 1 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, °იიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ნახვა ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**

**სოფიო მიხეილის ასული სულხანიშვილისა, პელაგია მიხეილის ასული და მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილი, ნინო მიხეილის ასული და ივანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანი, კნ. ქეთევან მიხეილის ასული და კონსტანტინე ივანეს ძე ვაჩნაძე, ოლღა მიხეილის ასული და გიორგი ივანეს ძე ფარსადანოვი, თამარ მიხეილის ასული და ანდრია გიორგის ძე ბებურიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ დედის და სიდედრის

ეკატერინე გრიგოლის ასულის სულხანიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. (ელისაბედის ქ. № 23), დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—2)

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 15 ნოემბერს 3 საათზე დღისით გარდაიცვალა

ნატალია ვახტანგის ასული კნეინა ამირეჯიბისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, შვილი მისი **თ. როსებ თადეოზის ძე ამირეჯიბი** თვისი მეუღლით კნეინა **სალომე გიორგის ასულით,** და შვილის შვილები მიცვალებულის: **თ. გიორგი** და **ქაიხოსრო ამირეჯიბი** და **თამარა როსების ასული ყანჩელისა.** პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს 18 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდგან, მოსკოვის ქუჩაზე № 13, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში. (2—6.—1)

**ოლღა საჩინოს ასული** შვილებითურთ, **ნატალია და სოფიო ილარიონის ასულნი გაბაშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ვასილ ილარიონის ძის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება 18-ს ამ თვეს ოთხშაბათს, დილის 9 საათზედ, ვერის წმ. ნიკოლოზის სას ფლაოს ეკლესიაში. (2-48-1)

**წარმოდგენა № 16.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 16.**

ხუთშაბას, 15 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ ალ. სუმბათაშვილის პიესა

ბორკილი

დრამა 4 მოქმ. თარგ. ახნაზაროვისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეებისათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

◀ გაზეთ „დროების“ რედაქციის კანტორაში ▶

მიიღება ხელის მოწერა

Bâton-ის წიგნზე:

„ერი და პატრიოტიზმი, განხილული სოციოლოგიური მხრით“

**დაახლოვებით 250—300 გვ.** ✦ ხელის მომწერთათვის ფასი **60 კ.**

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.** (10—4)

## მოწოდება

წელს, 18 ოქტომბერს, ღამე, დაბა სურამში, ტფილისის გუბერნიაში, **გადაიწვა მთელი უბანი** ებრაელებისა და ნაწილი სომხებისა. გადაიწვა 120 კომლი და 130 ოჯახზე მეტი უბინაოდ დარჩა—დაეწვათ საკვები, ტანთსაცმელი და მთელი ავლადიდება. ცეცხლმა შთანთქა აგრეთვე სამი სამლოცველო სახლი და ორი სკოლა ებრაელებისა

მოწყალე ადამიანებო! მოგმართავთ გადამწვართა სახელით: მოხედეთ ჩვენ უნუგეშო მდგომარეობას და გაიღეთ წვლილი უბედურთა დასახმარებლად. აღარა გვაქვს სალოცავი სახლი, თავშესაფარი ბინა, ტანთსაცმელი, ბავშვებისთვის სკოლა, საჭმელი—ყველაფერი ცეცხლმა შთანთქა.

ყოველი შემოწირულება მიიღება დიდის მადლობით. შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს დ. სურამში დაზარალებულთათვის ფულის შემკრებ კომიტეტის სახელზე. (7—უ—2)

კახელ მევენახეთა საზოგადოება

„კახეთი“

ამით აუწყებს, რომ მოუსავლობის და ღვინის დაძვირებისა გამო ღვინო გაიყიდება:

№ 1—25 კაპ., № 2—30 კაპ., № 3—40 კ. ბოთლი.

მუდმივ მუშტრისათვის არის აბაზიანი ღვინო, მხოლოდ ამ ღვინო არავის არ მიეცემა ფას დაკლებით. (3—6.—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**გ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—207)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლეი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—40)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სააავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—61)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ,

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ,' სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—6.—117)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ დ. ნიშრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—45)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—62).

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—108)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი-გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა. N 25.

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს ხშეც. ქირურ., სამ., გინერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შემდეგი, ბუასილი და სხვ. დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—48)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—54)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—50)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აფრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—297)

**გამოვიდა გასასყიდად**

გრიგოლ ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპნის“ ამხ. გამოცემული



ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ. ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапань“. Гачечиладзе. (15—5)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—45)

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წერა-კითხვის საზოგადოების ჟურნალი** როგორცა ვწერდით, წ. კითხვის საზოგადოების გამგეობამ, მდივნის ს. ფირცხალავას მოხსენების თანახმად, დაადგინა, გამოსცეს ყოველ თვიური ჟურნალი სახელწოდებით „წერა-კითხვის საზოგადოების მოამბე“. ამ დადგენილების თანახმად უკვე აღიძრა შესაფერი შუამდგომლობა ნებართვის შესახებ. რედაქტორად წარდგენილია საზოგადოების მდივანი ს. გ. ფირცხალავა. ჟურნალი წლიურად ეღირება 1 მან., ხოლო თითო ნომერი 10 კაპ. ჟურნალში დაიბეჭდება საქმეები და დადგენილებანი მთავარ გამგეობისა და განყოფილებებისა, ოქმები საზოგადო კრებებისა, ცირკულიარები მთავარ გამგეობისა, ინსტრუქციები, წესდებები, მოკლე ანგარიშები, განყოფილებათა მოხსენებანი, რომელთაც საზოგადო ხასიათი აქვთ, რევიზორების ანგარიშები, ბიბლიოგრაფიული წერილები იმ ახალ წიგნების შესახებ, რომელიც საზოგადოების მაღაზიებში მიიღება, განცხადებანი მაღაზიის შესახებ, დამატებითი კატალოგები მაღაზიის წიგნებისა, ბიბლიოთეკა მუზეუმისა, სიები ახალ წიგნებისა, რომლებიც ქართულად იბეჭდება და სხვა. ჟურნალი საზოგადოების განყოფილებებს, ბიბლიოთეკებს, მაღაზიებს და სხვა დაწესებულებებს დაეგზავნება მუქთად, ხოლო გარეშეთ—ხელის მოწერით. გამოცემის ხარჯში მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების განყოფილებანი.

✦ **ეპისკოპოსი კირიონი.** ტფილისში ხმა დადის, რომ ეპისკოპოსს კირიონს ნება მისცეს პეტერბურგს წავიდეს საქმიოდ. ეპ. კირიონს ჯანმრთელობა იმდენად შეჰრყევია, რომ სერიოზული ექიმიბა ესაჭიროება თურმე.

✦ **აჰერში ფრენა ტფილისში.** საოპერო დასის დირექტორს ეიხენვალდს მიუწვევია ჰაერში მფრინავი გიუო ბლერიოს მონოპლანით. ეიხენვალდის უთხოვნია დეკემბერში ჩამოვიდეს გიუო, რამდენჯერმე სცადოს ჰაერში ფრენა. თითო აფრენაზე 4000 მანეთი მიეცემა გიუოს. „კავკ.“ სიტყვით, გიუო' თანხმობა განუცხადებია ეიხენვალდისათვის.

✦ **მუსა ნაგიევის გატაცების საქმე.** როგორც ჩვენ კითხველებს ეხსომებათ, წლეულს გაზაფხულზე თუ ზაფხულში ვილაცებმა გაიტაცეს ბაქოელი მილიონერი მუსა ნაგიევი ამის გამო დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. სამხედრო სასამართლომ ბაქოში უკვე გაარჩია ეს საქმე და ხუთი კაცი დამნაშავედ იცნო. ოთხისთვის გადაუწყვეტია კატორგა სხვა-და-სხვა ვადით, ხოლო მეხუთესათვის, მცირე წლოვანისთვის, 7 წლით დაპატიმრება.

✦ **ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისში შესდგა ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება. კვირას, 15 ნოემბერს, მოხდა პირველი საზოგადო კრება საზოგადოების გამგეობის წევრთა ასარჩევად. ხმის უმეტესობით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ კნ. მ. მ. თუმანოვისა და ექიმები ალ. ი. ხატისოვი, გ. ნ. სტეფანოვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ნ. ზ. უმიკოვი, ალ. მუხარინსკი და პ. ა. ზავრიევი.

✦ **თათბირი ერობაზე ბაქოში.** ერობის საგუბერნიო თათბირზე 22 ხმით, წინააღმდეგ 18 ხმისა, დაადგინეს ბაქოს მაზრა სამ საერობო ერთეულად გაიყოს: ქალაქი, სამრეწველოები და მაზრა. საოლქო ერობის მომხრე იყო სამი კაცი

✦ **ნავთის საქმეების სამმართველო.** ბაქოს გაზეთების სიტყვით, იქ არსდება ნავთის საქმეების სამმართველო, რომელსაც გადაეცემა ყველა ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს სამთო სამმართველოს ნავთის საქმეთა განყოფილებას.

✦ **სასინოდო კანტორის პროკურორი.** როგორც პეტერბურგიდან ბაქოს გაზეთებს დეპეშით აცნობებენ, საქართველოს სასინოდო კანტორის პროკურორად დაუნიშნავთ ნოვგოროდის კონსისტორიის მდივანი ანდრეევი.

✦ **ახალი კლუბი.** „ახალი კლუბის“ მამასახლისთა უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქმნა მცირე კომისია, რომელსაც დაევალა ათი დღის განმავლობაში კლუბისათვის მოხერხებულ ბინის გამონახვა.

✦ **ლატარია-ალეგრიების აკრძალვა.** შინაგან საქმეთა დეპარტამენტის ცირკულიარის თანახმად, ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, თვალ-ყური დაიჭირონ, რომ გასართობებ სახლებში, ცირკებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში არ გამართონ ლატარია-ალეგრი, მუქთად საჩუქრები არ დაურიგონ და სხვა.

✦ როგორც თიანეთიდან გვატყობინებენ, იქ ამ ბოლო დროს მეტად გავრცელებულა წითელა და ყივანახველა.

✦ ბორჩალოს მაზრაში საქონლის ჭირი გაჩენილა. ტფ. გუბერნიის საბეითლო გამგეობას განკარგულება მოუხდენია ჭირთან საბრძოლველად.

✦ 14-15 ნოემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები: 14 ნოემბერს ღამე, რაკეტნი ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა პიატიგორსკის მოქალაქე ვლადიმერ კაპტეევი, 19 წლისა, ასოთ-ამწყობი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა. დუშეთის მაზრის მცხოვრებმა, ექვთიმე ბოჩორმა დუქნის პატრონმა არსენალის ქუჩაზე, 14 ნოემბერს პოლიციას გამოუცხადა, რომ 13 ნოემბერს, ღამე ჩემ დუქანში შემოვიდა ორი კაცი. ერთმა ყელში მტაცა ხელი, დანა მომიღერა და მუქარით ფული მომთხოვა, ხოლო მეორემ გააღო დახლი, ამოიღო 6 მან., გაიტანა ჩოხა და ახალუხი და გაიქცნენო. უცნობები აღმოჩნდნენ ჯიბგირები იაგორ ოსიპიანცი და მისი ამხანაგი, რომელსაც დასაპატიმრებლად დაეძებენ. საარტისტო საზოგად. დრამატ. დასის არტისტ ქალს ევდოკია ჟუკოვსკაიას ბინიდან თეატრალურ ქუჩაზე მოუპარავთ 50 მანეთის ნივთები. 14 ნოემბერს ხარფუხში დააპატიმრეს მათე კოვკი, რომელიც სამხედრო ბეგრის თავიდან აშორების აზრით გამოპარულა და იმალებოდა თურმე ლორის მელიქოვის ქუჩაზე მცხოვრებ მკერვალმა ისააკ სალიტმამ პოლიციას გამოუცხადა, რომ ცოლმა მარიამ სალიტმა მომპარა 500 მანეთის აპრეშუმის საქონელი და სადღაც მიიმალაო. მარიამ სალიტი დააპატიმრეს, მოპარული საქონელი ქმარს დაუბრუნეს და თვით ქურდი პასუხის გებაში მისცეს. 15 ნოემბერს პოლიციის მე-10 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 13 უპასპორტო კაცი.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ 9 ნოემბერს ღამე გარდაიცვალა ქუთაისში კარგად ცნობილი ქალაქის საბჭოს ხმოსანი ვასილ სპირიდონის ძე ძოწენიძე. განსვენებული საბჭოს ერთი საუკეთესო ხმოსნად ითვლებოდა და, როგორც სპეციალისტს ტეხნიკოსს, სამშენებლო კომისიის წევრთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. იგი ეკუთვნოდა იმ ქართველთა რიცხვს, რომელნიც სულითა და გულით მოწადინე-

ბულნი არიან თავიანთ ერის აღყვავებასა და კეთილ-დღეობას. ამ რამდენისამე ხნის წინად განსვენებული ავადმყოფდა და იძულებული გახდა საზღვარ გარედ წასულიყო საოპერაციოდ. წასვლის წინ, იმის შიშით, ვაი-თუ უკან ცოცხალი ველარ დავბრუნდეო, ანდერძი დასწერა, რომლითაც მთელ თავის ქონებას ცოლს უტოვებდა (უშვილო იყო) სიცოცხლეში სასარგებლოდ. ცოლის სიკვდილს შემდეგ კი ეს ქონება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ უნდა დარჩენილიყო. ამ ორი წლის წინად მისი ცოლი გარდაიცვალა, რამაც მეტად ცუდად იმოქმედა ისედაც სუსტს აგებულების ვასილზე. ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ დასუსტდა კუჭის ტკივილით. ექიმებმა საჭიროდ სცნეს ოპერაცია, რისთვისაც იძულებული გახდა ქალაქის ქირურგიულ საავადმყოფოში დაწოლილიყო. 9 ნოემბერს საღამოთი ძლიერ უმატა ტკივილებმა. ეთხოვა ერთ თავის ნათესავისათვის, ხვალისათვის მომიყვანე ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე, გამგეობის წევრები ი. ს. ფანცხავა და კ. დ. ბაქრაძე და გ. ფ. ზდანოვიჩი; მე ისე ვგრძნობ თავს, რომ არ მოვრჩებიო. ნაშუალამევს განსვენებული კიდევ უარესად შექმნილიყო; მომაკვდავი, წამოვარდნილიყო საწოლიდან და ტელეფონს მივარდნილიყო. ჯერ დ. ა. ლორთქიფანიძისთვის ერეკნა ზარი, შემდეგ გ. ფ. ზდანოვიჩისათვის, მაგრამ ვერც ერთისათვის ვერ გაეგონებინა, ძლიერ სურდა თურმე მათი გამოლაპარაკება. ეტყობოდა, ანდერძის შესახებ უნდოდა რისამე თქმა. ამასობაში სიკვდილსაც მოუსწრია და წუთისოფლისათვის გამოუსალმებია ისე, რომ თავისი გულის ნადები თავის ამხანაგებისათვის ვერ გადაუცია. განსვენებულს კარგი სიმდიდრე დარჩა. სასურველია, რომ მისმა ნათესავებმა შეასრულონ განსვენებულის სურვილი და მით საუკუნო ძეგლი აუგონ განსვენებულ ვასილის ხსოვნას.

◆ **საერობო თათბირი.** უკანასკნელ თავის სხდომაზე საერობო საგუბერნიო სათათბირომ დაადგინა: 1. ნება ეძლევათ ოჯახის სათავეში მყოფ ქალებს მიიღონ მონაწილეობა საერობო არჩევნებში, როგორც ამომრჩეველებმა; ხმოსნებად მათი ამორჩევა კი არ შეიძლება; 3. საერობო ერთეულის უმცირესობას ნება აქვს იყოლიოს საერობო სამმართველოში თავისი წარმომადგენელი; 3. საერობო ერთეულს უფლება ეძლევა სამეურნეო იარაღი შეისყიდოს პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს საზღვარგარეთის დაწესებულებებთან. დასასრულ, სათათბირომ ის აზრი გამოთქვა, თუ ვინიცობა, მთავრობამ არ შეიწყნარა ჩვენ მიერ შემუშავებული პროექტი, იმ შემთხვევაში ვიშუამდგომლოთ, რომ იმ გვარი ერობა მაინც მოგვეცეს, როგორიც შიდა რუსეთში არსებობსო.

◆ **გუბერნატორმა არ დაამტკიცა.** ქალაქის გამგეობამ, საბჭოს მიერ არჩეულს საგანგებო კომისიის დახმარებით შეიმუშავა ახალი პირობები მოიჯარადრეთაგან საღორიის აგარაკში ქალაქის სამოხელო ადგილების შესყიდვისა. ქალაქის გამგეობამ შესაძლოდ სცნო, სხვათა შორის, ადგილების წინანდელი შეფასება 20%-ით შემციროს. გამგეობის მოხსენებას ამ დღეებში განიხილავს ქალაქის საბჭო.

◆ **სხდომა.** 7 ნოემბერს მოხდება ქალაქის საქმეთა საკრებულოს სხდომა, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს ქალაქის საბჭოს დადგენილებას ქუთაისში წყალსაყვანის გაკეთების შესახებ. სხდომას დაესწრება მომავალი კონცესიონერი კანცელი.

◆ **აფთიაქის განყოფილება.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა აფთიაქის ფილიალური განყოფილება გახსნას ქალაქის წყალ გაღმა ნაწილში, ორპირის ქუჩაზე. აფთიაქის განყოფილებისათვის დაიქირავეს ს. ნ. ლორთქიფანიძის შენობა. აფთიაქი მომავალ იანვრის დამლევს გაიხსნება.

◆ ქალაქის გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა ტეხნიკოსი ვ. დ. ფადეევი.

◆ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკში ბუხჰალტრის ადგილზე ო. ბ. სვანიძის ნაცვლად მოიწვიეს საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბუხჰალტერი ი. ი. პურადაშვილი.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან. 16 ნოემბერი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა პასუხი გასცა შეკითხვაზე ბალკანეთის კონფედერაციის შესახებ და სთქვა, რომ ბოლგარიის მინისტრების სიტყვები, რაც ასე აღელვებს საზოგადოებას, დამახინჯებული გადმოგვცა დეპეშამ. გადმოგვცეს სიტყვების ნამდვილი ანგარიში, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოლგარიის მთავრობას აზრადაც არა ჰქონია ჩვენს საქმეებში ჩარეულიყო; კონსტიტუციის შემოღებიდან ბოლგარიის მთავრობა სცდილობს მეგობრული დამოკიდებულება იქონიოს ოსმალეთთან. არავითარი საბუთი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ბოლგარიის ოსმალეთის საწინააღმდეგო პოლიტიკაში. ამიტომ პროტესტის გამოცხადებაც შეუძლებელი არისო. თვით ბალკანეთის კონფედერაციაზე მინისტრმა განაცხადა, რომ ოფიციალურად არა სჩანს, ნამდვილად შეჰკრეს ასეთი კონფედერაცია თუ არა. მთავრობა თავის დროზე, თუ საჭირო იქნება, საჭირო ზომებს მიიღებს. შეკითხვის ავტორი მუფიდი არ დაკმაყოფილდა მინისტრის პასუხით. მუფიდმა სთქვა, მინისტრმა თავის პასუხში არ აღნიშნა, მიმართულია თუ არა ოსმალეთის წინააღმდეგ კონფედერაცია და ან რა დამოკიდებულება აქვს კონფედერაციას სერბიის მინისტრის მოგზაურობასთან. საჭიროა განაცხადონ, რომ ოსმალეთი ხელმძღვანელობს არა თავის-თავის უარ-ყოფით, არამედ თავის ინტერესების დაცვით. გარეშე საქმეთა მინისტრმა განმეორებით განაცხადა, რომ ბალკანეთის შეთანხმების მოხდენა დამტკიცებული არ არის. ისიც ნუ დაგვავიწყდებათ, რომ საჯარო კრებებზე ვერ შევეხებით სერიოზულ პოლიტიკურ საკითხებს. ბერძენმა ბუსიოსმა და ბოლგარელმა პონჩომ სთქვეს, ისინი იცავენ ოსმალეთის კონსტიტუციას და აცხადებენ, რომ უცხო მინისტრების სიტყვები ვერ იმოქმედებენ ოსმალეთისათვის თავდადებულ ხალხებზე. პალატამ ნდობა გამოუცხადა მინისტრს, განმარტება საკმაოდ ჩათვალა.

## ჰაერში ფრენა.

**პეტერბურგი.** ჰაერში მფრინავ პარკის ეზოდან დილის 11 საათზე აუშვეს სამი ჰაეროსტატი: ერთი შეიცავს 1437 კუბიკურ მეტრს, ორი 640 მეტრს. პირველ ჰაეროსტატში ოთხი აფიცერი იჯდა, ორში ორი-ორი. პარკის ეზოდან სამივე ერთი მხრისაკენ გაფრინდა ნიკოლოზის რკინის გზის გასწვრივ. ბლომად წაიღეს საჭირო მასალა. განზრახული აქვთ დიდი ხანი დაჰყონ ჰაერში.

**მოსკოვი.** გიუო სამჯერ აფრინდა ბლერიოს მონოპლანით. ოთხსაჟენის სიმაღლეზე ავიდა მაღლა, ორჯელ ვერს ნახევარს გაფრინდა, მესამედ—ნახევარი ვერსი. ფრენას ხელს უშლიდა ქარი და თოვლი.

**პეტერბურგი.** გუშინდელ გაფრენილ ჰაროსტატიდან ერთი ჩამოეშვა ქალაქ ველიკიე ლუკის ახლოს. ჰაერში იფრინა 11 საათსა და 5 წუთს და გაიარა 460 ვერსი. მეორე—ჩამოეშვა პოროხოვის ახლო, 5 საათსა და 45 წუთს, გაფრინდა 240 ვერსი, მესამეც იქვე ჩამოეშვა—6 საათს იფრინა და 240 ვერსი გაიარა.

## ომი

**მადრიდი.** ბრძოლის ველიდან (მაროკოდან) იტყობინებიან, რომ ესპანელებმა გაამაგრეს 13 ნოემბერს ატლატერის მთაზე აღებული პოზიცია, რომელიც ყველა ახლო-მახლო ადგილზე მაღალია და მარჯვე. ეს პოზიცია იცავს ოლქის ყველა წყლისა და ხმელეთის გზებს. გარკათქვა, ემზადებოდა ესპანელების წინააღმდეგ, მაგრამ რა დაინახა ესპანელების ძლიერი ჯარი, უარი სთქვა ყოველგვარ წინააღმდეგობის გაწევაზე. ესპანელების ჯარი შესდგება 17,000 ქვეითი ჯარისაგან, 2,000 ცხენოსნის და 60 ზარბაზნისაგან. გელაიდის ყველა თემებმა მორჩილება გამოაცხადეს, ატლატერის მთა განსაკუთრებული სიმაგრეებით იქნება შეერთებული სხვა პოზიციებთან, ასე რომ ესპანელების ბატონობა უზრუნველყოფილი იქნება რიფის ტერიტორიის იმ ადგილში, სადაც ჯარი მოქმედობს.

მაროკოში ესპანიის ჯარის გამარჯვების გამო მინისტრ-პრეზიდენტმა მორეტმა განაცხადა, რომ ესპანიამ თავის მიზანს მიაღწია და ეხლა ბრძოლის გაგრძელება არც საჭიროა და არც შესაძლებელი. საკმაოა ესპანიამ იზრუნოს კულტურის გავრცელებაზე ახლად დაჭერილ ტერიტორიაში, რომელიც სივრცით 400 ვერსს შეიცავს.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რადგანაც ესპანიის ჯარმა დაიჭირა ატლატერის მთა, ამიტომ ნაწილ-ნაწილად უნდა დაბრუნდეს ჯარი. დროს განსაზღვრა და ჯარის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება ესპანიაში გენერალ მარინის განკარგულებით უნდა მოხდეს. დაბრუნდება თუ არა ჯარი, სათადარიგო ჯარის კაცებს განთავისუფლებენ სამსახურიდან.

## საზღვარ-გარედ

**ვენა.** სამხედრო სასამართლოში მისცეს პარუჩიკი გოფრიხტერი, რომელსაც ბრალი ედება იმაში, რომ გენერალურ შტაბის ცხრა აფიცერს ნერვების მოქმედების გამოსასწორებელ წამლის ნაცვლად საწამლავად გაუგზავნა.

**ვენა.** გენერალურ შტაბის კაპიტანის მადერის უეცარ სიკვდილის გამო მომხდარმა გამოძიებამ ეჭვი მიიტანა ლინცაში მცხოვრებ ერთ აფიცერზე. აფიცერი შეიპყრეს, მან თავი უდანაშაულოდ იცნო. საწამლავის გამყიდველს უცვნია აფიცერი. ამას გარდა ბინის გაჩხრეკის დროს აფიცერს უპოვნეს ისეთივე კოლოფები და ჩასაყლაპი ქაღალდები, როგორიც გენერალურ შტაბის აფიცრებს მოსვლოდათ. თითონ აფიცერს განუცხადებია, რომ ექვსი დღით დათხოვნილი ვიყავ და სხვა ადგილას ვიმყოფებოდი, როდესაც საწამლავი გაუგზავნიათ აფიცრებისთვისო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში დასრულდა კამათი ეროვნულ საკითხის გამო შეტანილ ხუთ სწრაფ შეკითხვაზე. პალატამ დაადგინა აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს შეკითხვაში მოხსენებული წინადადებანი და ამასთან განიხილონ როგორც არსებული კანონები, ისე მომავალი კანონ-პროექტები ეროვნულ საკითხის შესახებ. პალატის დადგენილება გამოწვეულია იმით, რომ გავლენიანი პარტიები კომპრომისის გზას დაადგნენ. რადიკალ ჩეხებმა ენერგიულად განაცხადეს პროტესტი ამ წინადადებაზე და რეზოლიუციის შემდეგ დიდი ხმაურობა ასტეხეს ხუთივე სწრაფი შეკითხვა უკან წაიღეს.

**ბუდაპეშტი.** ვეკერლე და გრაფი ტისა ვენაში წავიდნენ. ორივენი წარუდგებიან იმპერატორს. იმედი აქვთ, რომ მეფესთან საუბრის შემდეგ ჰუნგრეთის კრიზისს ბოლო მოეღება.

**ლონდონი.** ირლანდიის სადგილმამულო კანონპროექტის შესახებ ორივე პალატა კომპრომისზე დასთანხმდა. მთავრობამ დაუთმო, ლორდთა პალატამაც დაუთმო რამდენიმე მუხლში, რაზედაც აქამდე ვერ შეთანხმებულიყვნენ.

**პარიზი.** როდესაც სენის დეპარტამენტის ჯარების უფროსი გენერალი ვერო სასტუმროს უახლოვდებოდა, ვიღაც უცნობმა რამდენჯერმე ესროლა რევოლვერი. გენერალმა ორი ჭრილობა მიიღო თავში. ფიქრობენ, რომ ჭრილობები სუბუქია. ბოროტგამზრახველი შეიპყრეს.

**პარიზი.** ირკვევა რომ ბოროტმოქმედს, რომელმაც რევოლვერი ესროლა გენერალ ვეროს, განზრახ ჰქონდა მოეკლა სამხედრო მინისტრი. შეპყრობილს უპოვნეს სამხედრო მინისტრის სურათი. შეპყრობილი ალჟირელი აღმოჩნდა. ჩვენების ჩამორთმევის დროს განაცხადა, რომ ის ალჟირის აფიცრების უსამართლობის მსხვერპლია. გენერლის ჭრილობა სუბუქი აღმოჩნდა.

## რუსეთი

**ოდესა.** მაზრაში თავს დაესხნენ გილდენდორფის სასოფლო სამმართველოს. მოჰკლეს დარაჯი. ბოროტმოქმედები შეეცადნენ ფულის კასის გატეხას, მაგრამ ვერ მოახერხეს და მიიმალნენ. ეჭვით შეიპყრეს ორი კაცი.

**მოგილიოვი.** სემინარიის 4 დაბალ კლასის მოწაფეებმა თავიანთ მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს სემინარიაში არსებულ შინაურ წესების შეცვლის შესახებ. სემინარიელები დაითხოვეს სანამდის არ შეინანიებენ თავიანთ დანაშაულს, ხოლო მათავე სრულებით გამორიცხეს სემინარიიდან.

**პეტერბურგი.** დეპეშათა სააგენტოს ცნობით ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 25, გარდაიცვალა 9 კაცი, მორჩა 10, საავადმყოფოში იმყოფება 18 კაცი. სამარის გუბერნიის ნიკოლაევის მაზრაში ავად გახდა ორი, გარდაიცვალა ერთი, პენზაში ავად გახდა სამი, გარდაიცვალა ერთი კაცი.

**კიევი.** ქალაქში ხოლერით ავად გახდა 2, გუბერნიაში 6 კაცი; გარდაიცვალა 2 კაცი.

**კოსტრომა.** ერთი კვირის განმავლობაში გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3 კაცი.

# ქალაქის და უეზდის სკოლები

როგორც გავიგეთ, ტფ. ქალაქის დაწყებით სკოლებს დაურიგდა ახალი პროგრამა ასეთი სათაურით: „Проектъ программы“. ეს პროგრამა შეუმუშავებიათ 1908 წელს თვითონ ქალაქის სკოლების მასწავლებლებს სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორის დახმარებით. კრებაზე აღუნუსხავთ მხოლოდ სქემა. ამორჩეულს კომისიას შეუმუშავებია დაწვრილებით ეს სქემა და აი ეხლა დირექტორის ხელმოწერილი უკვე დაურიგდათ სკოლებში

ამ პროგრამით სწავლა იწყება საშობლო ენაზე. პირველსა და მეორე განყოფილებაში თითქმის ძველი

---

# გზა-და-გზა

**მოთხრობა.**

(შემდეგი*)

სადგურ რ—ზე საათი, თუ ცოტა მეტი დავრჩით. ხალხი ჯიანჭველასავით ირეოდა. ჩვენის მატარებლისათვის ორთქლ-მავალი გამოეცვალნათ და გასამგზავრებლად მოემზადებინათ. ზარა ორჯერ ჩამოჰკრეს. ხალხი უფრო აირია, აურიამულდა. ჩვენც ვაგონისაკენ გავეშურეთ. ჩვენი ვაგონი ისე ავსებულიყო მგზავრებით, რომ ნემსის კურწი არ ჩავარდებოდა. რის ვაივაგლახით მივაღწიეთ ჩვენს ბინას და სკამზე ჩამოვსხედით...

— ბატონო კონდუქტორო! თუ ბილეთი მომყიდეთ, ადგილიც მომეცით... ეს რა უბედურებაა!—ჩიოდა ერთი ახლად შეღებრებული ცირა, (ბარიშნა) რომელიც იქვე ჩვენ მახლობლად, გასავალში, კაცებ შუა ჩაჭედილიყო და საცოდავად ფართხალებდა.

კონდუქტორი ქალის მუდარას ყურადღებას არ აქცევდა.

— ბატონო კონდუქტორო... ადგილი მომეცით მეთქი!.. გამჭყლიტეს ამ უზრდელებმა! —კვლავ იძახდა ქალი.

— მიიწი, ბიჭო!.. შუაში ჩავისვათ... მერე რა კარგისაა და!—აცმუკდა გრიგოლ პეტროვიჩი, მიიშმუშნ-მოიშმუშნა, მეც კედელზე მიმაჭყლიტა, მეორე მგზავრსაც ცოტა მიაწევინა და ერთი კაცის ადგილი გამონახა.

— აი, ადგილი!.. აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ!—ზრდილობიანად მიჰმართა გრიგოლმა ქალს. მერე წამოდგა, გასავალში მდგომნი მისწი-მოსწია და ქალს გზა მისცა.

— უჰ, რა უბედურებაა!.. კინაღამ გამჭყლიტეს მაგ მხეცებმა...—გმადლობთ, ჩემო ბატონო, ადგილის შოვნისათვის!—ღიმილით გადაუხადა მადლობა ქალმა და სკამზე ჩამოჯდა.

— რა ბრძანებაა? სამადლობელი აქ რა არის!.. პირიქით, ჩვენ უნდა ვიყოთ მადლობელნი, რომ თქვენისთანა მშვენიერმა არსებამ მხარი დაგვიმშვენა...—ღიმილითვე და წმაწვნა—გრეხით უპასუხა გრიგოლმა და გვერდზე მოუჯდა.

ქალმა მორცხვად, შუბლ ქვეშიდან შეხედა და უფრო ტკბილად გაუღიმა. ეტყობოდა, გრიგოლის ქათინაურმა ასიამოვნა.

სიჩუმე ჩამოვარდა. გრიგოლი თვალითა ზომავდა მაისის ვარდივით გაღაჟღაჟებულ, გულ-მკერდ გადაშლილ გოგონას და მსუნაგ კატასავით ტუჩებს ილოკდა...

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ, შორი გზა გაქვთ?—მიმართა გრიგოლმა ქალს.

— არა... მეორე სადგურზე უნდა ჩამოვხტე...

— Жаль—ამოიოხრა გრიგოლმა,—მე მეგონა, უფრო შორს მიბრძანდებოდით...

— მერე აქ სამწუხარო რა არის?—ღიმილით შეეკითხა ქალი.

— რასა ბრძანებთ, ბატონო: ამ დახავსებულ ქოხში ძლივს მზემ შემოანათა და ისიც უნდა მალე ჩავიდეს!—უთხრა გრიგოლმა და თვალი თვალში გაუყარა.

ქალი წამოწითლდა და მორცხვად თავი დახარა.

— თქვენი ზღაპრისა მე არა მესმის-რა!..

— თქვენ რამდენადაც მშვენიერი ხართ, იმდენად გულ-უბრყვილო ყოფილხართ!..

— ღმერთმანი, არა მესმის-რა...—დაიფიცა ქალმა და კვლავ შუბლქვეშიდან შეჰხედა.

— მაშ აგიხსნით: თქვენ... თქვენა ხართ ის მზე, რომელსაც მალე უნდა მოვშორდეთ... გაიგეთ?

— Какія глупости!—ვითომდა გაიკვირვა ქალმა და სიტყვა ბანზე აუგდო.

— თქვენ საიდან მობრძანდებით?

— ოო, ძალიან შორიდან მოვალ... პირველ დღეს რომ შემხვედროდით, აქამდე ისე შემიყვარდებოდით, რომ იქნება თავიც კი მომეკლა... როცა თქვენ... სამუდამოდ გამშორდებოდით...

— რა ხუმარა ჰყოფილხართ?!—გადიხარხარა ქალმა.

— თქვენი მაყურებელი ხუმარა კი არა, სულელიც კი ბედნიერი იქნება.

— გიყოფათ მაგდენი ჩემი დაცინვა...—ღიმილით უსაყვედურა ქალმა.

— ყვავი ბულბულს როგორ დასცინებს?..

— კმარა-მეთქი!—ვითომდა გაჯავრდა ქალი,—სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— რაზე მაგალითად... სიყვარულზე?

— ხა, ხა, ხა, რა უცნაური კაცი ჰყოფილხართ!—გადიხარხარა ქალმა.

— კეკლუცის მომხიბლავს უცნაურობა არ დაეძრახვის.

— არა, მე თქვენთან ლაპარაკი არ შემიძლიან... ჰა, ჰა, ჰა!.. გამიშვით, გამიშვით, ვაგონის კარაპანში უნდა გავიდე... მგონი, ჩვენ სადგურსაც მივუახლოვდით!—სიცილით სთქვა ქალმა, წამოდგა და ვაგონის კარებისაკენ გასწია.

— მეც თქვენთანა ვარ... არ შემიძლიან, თავს ვერ დაგანებებთ! ხა, ხა, ხა!—ვითომდა გაეხუმრა პეტროვიჩიც და უკან დაედევნა.

ჩვენ გვერდზე მყოფმა ზოგმა მგზავრმა ბღვერით გააყოლა თვალი მოკისკასე ქალ-ვაჟს და ზოგიც მწარედ იღიმებოდა. მეც გაშტერებული დავრჩი...

სულ ხუთი-ექვსი წუთი არ გასულა, რომ მატარებელი გაჩერდა. ის ქალი ერთ წუთს შემობრუნდა, რაღაც ბოლჩას დაავლო ხელი და ისევ საჩქაროდ გაბრუნდა.

— მშვიდობით, მაისის ვარდო! მშვიდობით!—შემომესმა გრიგოლის ხმა ვაგონის ღია კარებიდან.

მატარებელი ნელა დაიძრა.

— რას დაგდებულხარ კუტივით... ერთს მაინც გამოიხედავდი... რომ იცოდე, როგორ ჩავპროშტე დერეფანში... სწორედ, ცეცხლი იყო, ცეცხლი!.. მომიტანა გრიგოლმა ამბავი, როცა ვაგონში დაბრუნდა...

მეტად ნასიამოვნები იყო.

მე გაკვირვებით შევყურებდი.

— ნუ რა გიკვირს-რა ქალებისაგან... ზოგიერთებს ერთი კოცნა მთელ სიცოცხლეს ურჩევნია... რა იცი შენ, ჯერ პირზე რძე არ მოგშრობია...

— გაგონილა, კაცო, აგრე აპილპილება?—ვუსაყვედურე, სხვა რომ ვერა მოვახერხე რა...

— ჰმ! . სთქვა რუქამ არაკი!—დამცინა გრიგოლმა და ჩაიმღერა:

რუსთველმა სთქვა, განა თხა ვარ,
გაზაფხულზე გავიკრიჭო,
ეს სოფელი მისთვის მინდა,
გავიცინო, გავიღრიჭო!

— ნეტა ეგ რომელი-და რუსთაველი გამოჩენილა?! წავიდუდუნე.

— ეს გახლავთ იმათი რუსთველი, ვისაც შენსავით თავპირი არ ჩამოსტირის და დღევანდელი კვერცხი ურჩევნის ხვალინდელ ქათამს!—წაიბურტყუნა პეტროვიჩმაც, მერე სკამის ზურგი ასწია, რკინის საფეხურებზე დაამაგრა, ლოგინი გაიშალა და დასაძინებლად მოემზადა. ცოტა ხანს იქით მეც იმის მაგალითს მივბაძე.

ბინდდებოდა... მარტო ძილი-ღა თუ დამიმშვიდებდა ნახულ-ნაგრძნობით აშლილ ნერვებს!..

. . . . . . . . . . .

— დროა აბრძანდეთ, ძილის გუდავ!—შემომესმა გრიგოლ პეტროვიჩის ხმა და თვალები ვჭყიტე.

დილის რვა საათი იქნებოდა. შემოდგომის სუსტი მზე მორცხვად ანათებდა ჩვენ ვაგონს, საიდანაც თითქმის ყველანი გალაგებულიყვნენ. ჩვენ ამ დროს მივქროდით შიდა გუბერნიების ერთ მწირ ადგილზე.

— მთელი ღამე გავიტანჯე... მარტო გათენებისას ჩამეძინა!—თითქოს თავს ვმართლულობდი დიდხნის გამოღვიძებულ გრიგოლის წინაშე. გრიგოლს უკვე პირიც დაებანა და ჯან-ღონით სავსეს კრიალი გაჰქონდა.

— მე-კი დავწექი, თუ არა, მაშინვე ჩამეძინა, მაგრამ მთელი ღამე ძალიან არეულ სიზმრებში გავატარე... სიზმრად ისევ სტუდენტი ვიყავ და ჩემ ამხანაგებში დავტრიალებდი,... ისევ ჩვენებური აყალ-მაყალი, ჩვენებური ცილაობა, ჩვენებური ქორიანობა და დაუდეგრობა... ნეტა ახლა სად არიან ი ყურუმსალი ჩემი ამხანაგები? რას აკეთებენ? კაცობრიობას ესახურებიან, თუ ჩემსავით თავის ვერანა მუცელს ხატრიან?.. მართლა, ადე პირი დაიბანე. მალე სადგურზე მივალთ და ცოტა თუ არ ვისაუზმეთ, მუცელი ვალალალოს მაყრის!..—მითხრა გრიგოლმა და საბანი გადამხადა.

დილის ცხრა საათზე უკვე კარგა დანაყრებულნი ვიყავით. ნებივრად წამოვწექით დაცარიელებულ დაბალ სკამებზე და...

გრიგოლ პეტროვიჩი კვლავ მომითხრობდა:

*) იხ. „დროება“ N 253.

პროგრამაა და მხოლოდ მეორე განყოფილებიდან ემატება გეომეტრია. იგი იწყობა მეთქი განყოფილებიდან და ისწავლების მესამესა და მეოთხეში. ამასთან რიცხვი გაკვეთილებისა იგივეა, არ ემატება.

სწორე გითხრათ გამოკა ამ მომატებამ. არ ვიტყვი, გეომეტრია საჭირო არ იყოს. კარგიც არის და საჭიროც, მაგრამ განა სხვა საგნები კი არ არის საჭირო? რად მხოლოდ და მხოლოდ გეომეტრია მოინდომეს, ისიც მეორე განყოფილებიდან?! რატომ, შეიძლება ისწავლებოდეს გეომეტრია, მაგრამ მისთვის, ჩემის აზრით, უნდა დაეთმოთ მხოლოდ მეოთხე განყოფილება.

მოგეხსენებათ, ქალაქის დაწყებით სკოლებში სწავლობენ ღარიბ ხელოსანთა შვილები: მჭერხავისა, ხარაზისა, წვრილი ვაჭრისა და სხვათა შვილები. ამ სკოლის გათავების შემდეგ უმცირესი პროცენტი გადადის სწავლის განსაგრძობად სამოქალაქო სკოლაში, სადაც გეომეტრია იწყობა მხოლოდ მეორე კლასიდან. დაწყებით სკოლის მოწაფეებს იღებენ იქ გამოცდით, მხოლოდ პირველ კლასში. მაშასადამე გეომეტრია იქ შესვლის დროს საჭირო არ არის. მცირედი ნაწილი გადადის სახელოსნო სკოლაში. არც იქა ჰკითხავენ გეომეტრიას გამოცდის დროს. ქალები გადადიან ქრა-კერვის სკოლაში, ამათთვის უფრო ხატვაა საჭირო. დანარჩენნი ათავებენ და მამის ხელობას სწავლობენ.

ვიმეორებთ საგნების მომატება და სწავლებაც კარგია, მაგრამ საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ნაყოფი რჩებოდეს. რადგან კომისიამ მოისურვა საგნის მომატება, ვგონებ უფრო საჭირო იყო ჰიგიენი, ხატვა და სხვა და სხვა ხელობა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ხალხს ძალიან ცოტა წარმოდგენა აქვს სისუფთავესა და ავადმყოფის მოვლაზე, ჯანმრთელობის გაფრთხილებაზე. თუ ამას შეასწავლიან, დიდ საქმეს გააკეთებენ. დიახ, სასურველია ყველა სასარგებლო საგნის შესწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ამის შესრულება ოთხის წლის განმავლობაში მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელი. თუ საგნებს უმატებენ, სამოსწავლო წლებიც უნდა მოუმატონ, უნდა შემოიღონ 6 ან 8 წლის კურსი. მაშინ შეიძლება ბავშვს დასრულებული სწავლაც მიეცეს.

პროგრამაშივე ვკითხულობთ: „ანგარიში ისწავლება სამშობლო ენაზე მხოლოდ პირველ ორ განყოფილებაში, მესამესა და მეოთხეში კი რუსულს ენაზეო“. მთავარ-მართებლის მიერ 1881 წელს გამოცემულ პროგრამით კი ანგარიში მესამე განყოფილებაშიაც სამშობლო ენაზე უნდა ისწავლებოდეს. რად მოიქცა კომისია ასე—გასაკვირველია.

კიდევ ერთი ცვლილება. შეუმცირებიათ ქართულ და სომხურ სკოლებში სღმრთო სჯულის გაკვეთილები, ოთხ განყოფილებაში 8 გაკვეთილი შემოუღიათ. რუსულ სკოლაში კი ამ განყოფილებაში 10 გაკვეთილი დაუტოვებიათ, როგორც წინად იყო. სამღვთო სჯულს ამ სკოლებში სამშობლო ენაზე ასწავლიან. იქნება ეს იყო მიზეზი გაკვეთილების შემცირებისა?!. ა—ი.

## საზღვარ-გარედ სასწავლებლად წამსვლელთა საყურადღებოდ.

(წერილი გერმანიიდან)

ხშირია ხოლმე, რომ ქართველი ახალგაზრდა საზღვარ-გარედ მიდის სასწავლებლად და კი არ იცის, რა პირობებია ამ სწავლებისა და ცხოვრებისა. მიდის და მერე გაჭირვებაში ვარდება. ვურჩევთ ყველა ახალგაზრდას, ყოვლის უპირველესად კარგა გაიცნოს სწავლის და ცხოვრების პირობები და მერე გამოემგზავროს აქეთ.

გერმანიაში ყველა უმაღლეს სასწავლებელში იღებენ რუსეთის ყველა საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულს. არ იღებენ მხოლოდ რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულს. თავისუფალ ყურის მგდებლად იღებენ იმას, ვისაც გათავებული აქვს გიმნაზიის ექვს კლასზე, არა ნაკლები და ამის მოწმობა მოეპოვება. სწავლის ფასი ღირს სემესტრში 30 მან. საზღვარ-გარეელობისა ბიბლიოთეკისა და სააგადმყოფოსი. ლექციების ფასი სემესტრში (პოლიტეხნიკუმში) აღწევს 50—30 მანეთამდის, ასე რომ, ვისაც ცოტა ლექციები ექნება, სემესტრი, საზღვარგარეთის გადასახადით, დაუჯდება არა ნაკლებ 80 მანეთისა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ რამდონიმე სემესტრი ჯდება 100—120 მანეთი, როცა სულ ბევრი ლექციებია. პირველათ შესასვლელი პოლიტეხნიკუმში ღირს 20 მან. ყველა ფაკულტეტი პოლიტეხნიკუმში არის ოთხი წლის კურსისა და მარტო საქიმიო ნაწილი უნივერსიტეტში შეიცავს ხუთი წლის კურს. რადგან უნივერსიტეტში საზღვარ-გარეელობის გადასახადი (30 მან.) არ არის, ამიტომ იქ პოლიტეხნიკუმთან შედარებით, სემესტრი 30 მანეთით იაფი ხდება. არის აგრეთვე ეგზამენების გადასახადი. პოლიტეხნიკუმში ორია ასეთი გადასახადი ერთს ეძახიან ნახევარ დიპლომის ეგზამენს, მეორეს—გათავებისას. პირველი ეგზამენი ღირს 40 მან. მეორე 80 მან. უნივერსიტეტში არის მხოლოდ გათავების ეგზამენი, ყველაზე მეტად იქ ღირს საქიმიო ნაწილის გათავების ეგზამენი—220 მან.

სამეურნეო სასწავლებლებში იღებენ ყველას, ვისაც საშუალო სასწავლებელი აქვს დამთავრებული (მხოლოდ შტუტგარდში იღებენ აგრეთვე გიმნაზიის ექვსი კლასის მოწმობით). არის სამი წლის კურსი, ძლიერ კარგ პირობებში. ასწავლიან ყოველ სამეცნიერო და სამეურნეო საგანს, გარდა ღვინის კეთებისა. ღირს სემესტრი 80 მან. პირველად ჩასარიცხი გადასახადი 10 მანეთია.

რომ კაცმა გერმანიაში იცხოვროს, აუცილებლად საჭიროა თვეში 40 მან. მარტო ოთახი. სანათით, შეშით და სარეცხით ღირს სულ ნაკლები თვეში 15—16 მან. დანარჩენი 25 მან. კიდევ—სასწავლო ნივთები, წიგნები, სადილი, ვახშამი, ტანისამოსი და სხვა. ვინც გადასწყვეტს აქეთ გამომგზავრებას, გერმანული ენა თეორიულად მაინც უნდა იცოდეს.

ზემო აღნიშნული პირობები არის ბავარიაში, ქ. მიუნხენში, და მის მიდამო ქალაქებში, მაგრამ გერმანიის სხვა ადგილებშიაც, თითქმის ესევე პირობებია.

სწავლა იწყობა ყოველწლივ ზამთრის სემესტრი 20 ნოემბერს და ზაფხულისა—15 აპრილს (გასტანს ივლისის გასვლამდე).

ვისაც ჰსურს უფრო დაწვრილებით ცხოვრების გაგება, შეუძლიათ რედაქციაში გაიგოს ჩემი ადრესი.

რ. გ—შვილი.

## დღევანდელი უნივერსიტეტი

(წერილი პეტერბურგიდან)

რუსეთის თავისუფალ, ავტონომიურ უნივერსიტეტის მტრებს დღეს თამამად შეუძლიანთ თავისუფალ უნივერსიტეტზე სთქვან: „დასრულდა მისი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისაო“. თავისუფალი უნივერსიტეტი რუსეთში აღარ არსებობს, მან უკანასკნელ ხანებში უკვე სული დალია. ოდესის და კიევის უნივერსიტეტებმა ამ მხრით მაგალითი უჩვენეს დანარჩენებს, იქ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ალტაცებით მიეგება სახ. განათლების მინისტრის უკანასკნელ „განმარტებას“ და სავალდებულო დადგენილებად გამოაცხადა იგი. იქ, ყოველგვარ დაწესებულების მოსპობასთან ერთად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ფორმაში და ექვსსავე ლილზე შეკრულ „ტუჟურკებში“ სიარულიც კი აუცილებლად გახადა სტუდენტობისთვის. ამასვე მოელის სხვაგან სტუდენტობა.

იყო დრო, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის პრორექტორი და მასთან ერთად ლიბერალური პროფესორობა ამბობდა, რომ თუ სტუდენდენტების წარმომადგენელნი არ დაგვეხმარნენ, ჩვენ მუშაობა არ შეგვიძლიანო. მაგრამ ეს დრო იყო და აღარ არის. შებოჭეს მთლად უნივერსიტეტიც და კერძოდ პროფესორებიც. ფერეროს შესახებ გამართულ კრების ხელმძღვანელნი პროფესორებმა დისციპლინარულ სამართალში მისცეს და სასტიკად დასაჯეს. სათვისტომოების კრებები აკრძალეს. საერთო სტუდენტურ ყრილობების ნებას აღარ იძლევიან. ყველა ეს მოწმობს, რომ პროფესორთა საბჭოს სტუდენტობის დახმარება აღარა სჭირია. ეს და მრავალი სხვა საკითხი იყო გასარჩევი საერთო კრებაზე, მაგრამ უნივერსიტეტის მთავრობამ ნება არ დართო და საყვედურის მოსმენას მოერიდა.

7 ნოემ ერს მოხდა ნებადაურთველი ყრილობა სტუდენტებისა უნივერსიტეტში. ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ აცლიან ხელიდან უფლებებს. იმაზე, თუ საითკენ არის მიმართული სამინისტროს „განმარტებები“, თუ როგორ იცვალა ფერი პროფესორთა საბჭომ და სხვა, ილაპარაკეს ძველებურად გატაცებით, მაგრამ მათი ნალაპარაკევი რაღაც არა სასიამოვნო ნალექს სტოვებდა მაყურებელში. ეს იყო შედეგი იმ უიმედობისა, რომელიც ყველა ორ ტორის სიტყვაში გამოსჭვიოდა. იცავდა პეტერბურგის სტუდენტობა ამ კრებაზე თავის უფლებებს, მაგრამ თან თავის სისუსტესაც ჰგრძნობდა. უიმედოდ პირმიბრუნებულ ავადმყოფს გამოსაბრუნებლად ძალას იკრეფდა, მაგრამ ატყობდა ავადმყოფის სიკვდილის მოახლოვებას. უიმედობას, გამოწვეულს საყვარელ, თავისუფალ დაწესებულების დაკარგვის მოახლოვებით,—აი, რას შეამჩნევდა ამ დღეს კაცი პეტერბურგის სტუდენტობას.

დამსწრე იმ უფსკრულსაც შეამჩნევდა, რომელიც სტუდენტობისა და პროფესორთა შორის გაჩენილა. დაინახავდა, რომ მათ შორის ხიდი უკვე ჩატეხილა, გასულა ის დრო, როდესაც პროფ. პეტრაჟიცკის რჩევას პეტერბურგის სტუდენტობა აღტაცებით ეგებებოდა. „პროფესორ კარეევისა და კოვალევსკისაგან ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლიან ვისწავლოთ, მაგრამ მათ უკანასკნელ გადაწყვეტილებებს კი ვერ შეურიგდებითო“, სთქვა ერთმა ორატორმა. „დღეის შემდეგაო,—დასძინა მეორემ,—ჩვენ შორის საერთო აღარაფერია და მათგან ჩვენი უფლებების გამოქომაგებას არ მოველითო“. სტუდენტობამ პროტესტი გამოუცხადა პროფესორთა საბჭოს უკანასკნელ გადაწყვეტილებისათვის.

ძლივს მოასწრეს ამგვარი რეზოლიუციის მიღება, რომ პოლიცია გაჩნდა და გრადონაჩალნიკის სახელით კრების დაუყონებლივ დაშლა მოითხოვა. უნივერსიტეტს გარს შემოარტყა ცხენოსანთა პოლიცია. პოლიციის უნივერსიტეტში გაჩენამ ერთი აურ-ზაური გამოიწვია: ასტყდა სტვენა, „გაეთრიეთ“, „გაეთრიეთო“! ძახილი. მგონი ცხრაას პირველ წლის შემდეგ პეტრბ. უნივერსიტეტში პოლიცია აღარ შეჭრილა და ეს პირველი მაგალითი იყო...

ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი სტუდენტების მხრით და ვინ იცის, საქმე რით გათავდებოდა, მაგრამ კრება დაიშალა.

წინ გვიდევს სამინისტროს ახალი „განმარტებანი“, რომელიც ალბად კიდევ მოგვივლინება, პროფესორთა ახალი გადაწყვეტილებანი და სტუდენტთა დადგენილებანი მომავალ კრების შესახებ. მანამდის კიდევ დროა, მაგრამ ერთის თქმა, ჩემის აზრით, ეხლავე შეიძლება: პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფლებას მომავალში კიდევ უფრო მეტი საფრთხე მოელის. მას თავქვე, ოდესის უნივერსიტეტის სანეტარო მაგალითისაკენ, დაქანებულს ვეღარა უშველის-რა.

გ—ი.

## მეურნეთა კრება

კვირას, 15 ნოემბერს, დაიწყო კრება ამიერ-კავკასიის მეურნეთა.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომის შესავალი ცოცხალი ყვავილებით იყო მორთული. ნაშუადღევის 1 საათისთვის აივსო დარბაზი. სხვათა შორის, მოვიდნენ ტფ. გუბერნატორი, მიწად-მოქმედებისა სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში არხიპოვი, ტფ. გუბერნიის მარშალი და მისი მოადგილე, ქალაქის თავის მოადგილე და სხვანი.

სახელად ამ კრებას „მეურნეთა კრება“ ჰქვიან. სამწუხაროდ, სოფლის მეურნეს ორ სამს თუ ნახავთ. სულ ნაცნობი ხალხია—ქალაქის ინტელიგენცია და მოხელენი. არიან აგრონომები, ინჟენრები, ექიმები, ვექილები, მოხელენი, ინსტრუქტორები, გაზეთების თანამშრომელნი და სხვანი. თუ ბოლომდე ესენი დარჩებიან და ნამდვილი მეურნენი არ ჩამოვლენ, ვერაფერი „მეურნეთა“ კრება იქნება.

სრული პირველი საათი იყო რომ საზოგადოების პრეზიდენტი უგონათ. თავ. პ. გრუზინსკი ავიდა კათედრაზე და მოკლე სიტყვით მიეგება კრებას. პრეზიდენტმა ჩამოთვალა, რა გაჭირვებას განიცდის ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგი: მევენახობა—მეღვინეობა, საქონლის მოვლა-მოშენება, მერძეობა, სამეურნეო სწავლა. აღნიშნა, რომ ყველა ესენი პრიმიტიულ ყოფაში არიან და საჭიროა მათი ძირიანად გადაქმნა. მოიწვია სამეურნეო საზოგადოებამ მეურნეთა კრება, რომ შევიმუშავოთ ზომები სოფლის მეურნეობის აღორძინებლადაო. მარტო მთავრობა ვერ გააკეთებს ამ საქმეს. საჭიროა ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა სოლიდარული მოქმედება, რომ საერთო ძალით გამოვიკვლიოთ ნაკლუვანებანი და საერთო ძალითვე დავსდოთ წამალი ჩვენს ტკივილებსაო. სახსარი საერთო საჭიროებათა გამოსარკვევად არის სისტემატიური კრებები სოფლის მეურნეებისა. კავ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება მართავდა ასეთ კრებებს, მაგრამ მათ სისტემატიური ხასიათი არა ჰქონდათ. ეხლა აღძრული იქნება საკითხი მეურნეთა სისტემატიურ კრებების გამართვის შესახებ, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება მეურნეობისათვისაო. დასასრულ, უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა.

პრეზიდენტის შემდეგ მეურნეთ კრებას სიტყვით მიეგება მარშალი თავ. პ. თუმანიშვილი. თავად-აზნაურთა სახელით ულოცავ კრებას,—სთქვა თავ. თუმანიშვილმა—ამ ცოტა ხანში დასრულდა თათბირი ერობის შესახებ. რა თქმა უნდა, აქაც, როგორც საგუბერნიო თათბირზე, კრება, შეეხება თვით-მოქმედებასა და თვით-მართველობის საკითხს. სასოფლო მეურნეობის გაჭირვებას და[illegible] სახელებენ [illegible] თებლად. ჩვენი კულტურული აღორძინება [illegible] ტო მეურნეობის მავნე პირობების მოსპობ საშუალებათა გამონახვაში, არამედ საუკეთესო მომქმედ ძალთა შეერთება-შეკავშირებაში თვითმართველობის გარშემო. ვუსურვებ კრებას ნაყოფიერ მუშაობას.

ასეთისავე ხასიათის სიტყვები წარმოსთქვეს ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ხატისოვმა, ბეითალთა საზოგადოების წარმომადგენელმა და სომხეთა სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ ნ ათანასიანცმა.

შემდეგ ა. ა. ქალანთარმა წარმოსთქვა სიტყვა სასოფლო მეურნეობის განვითარების პირობების შესახებ. ქალანთარმა საჭიროდ სცნო გამოკვლეულ იქმნას მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობა, შესდგეს მუდმივი ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის შესამუშავებლად. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მიმოსვლის პირობების გაუმჯობესობას, ნაწარმოებთა გადაზიდვა-გადმოზიდვის საქმის მოწყობას, სამეურნეო სკოლებისა, საცდელ მინდვრებისა, გამოფენებისა, კურსებისა და სისტემატიურ კრებების მოწყობას. მომხსენებელმა სთქვა, დღევანდელი კრება მოიწვეულია იმიტომ, რომ წინ წასწიოს მორიგი საკითხები კავკასიის მეურნეობისა და მიიხელი შეუწყოს მათ სასურველ გადაწყვეტას და განხორციელებასაო.

ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა სამეურნეო საზოგადოების მდივანმა სტ. ერანოსვმა საზოგადოებრივ აგრონომიის შესახებ. საზოგადოებრივი აგრონომია მე 19 საუკუნის ნაყოფიაო. ფეოდალურ ხანაში ყოვლად შეუძლებელი იყო სასოფლო მეურნეობის აღორძინება. ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში საგრონომიო დახმარების ორგანიზაცია ეკუთვნის სახელმწიფოს. ორატორმა აიღო იტალია და ბელგია და გაარჩია დაწვრილებით ისა თუ მთავრობის დახმარებამ რა კარგი ნაყოფი მოიტანა სასოფლო მეურნეობის საქმეში და რა მრავლად დაარსდა ამხანაგობანი, კავშირები და კოოპერაციები. ორატორმა სტატისტიკურის ცნობებით დაასაბუთა თავისი მოხსენება. სხვათა შორის, შეეხო ბელგიას. ბელგია სივრცით ძლივს იქნება ტფილისის გუბერნიის სამი მეოთხედის ტოლა, მაგრამ ასეთ პატარა ტერიტორიაზე დასახლებულმა სახელმწიფომ ისე განავითარა სამეურნეო მრეწველობა, რომ ყველა განათლებულ სახელმწიფოს გაუსწრო. საოცრად განვითარდა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციები. არის ამხანაგობანი მერძეობასა, საქონლის მოშენებისა, კარაქის მკეთებელთა, მეთევზეთა, დამზღვევი ამხანაგობანი, წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი და სხვა. 1902 წლისთვის ბელგიაში ითვლებოდა 2850 კოოპერატიული ამხანაგობა, რომელნიც შეიცავდნენ 238,501 წევრს. ორატორი შემდეგ გადავიდა რუსეთზე და განაცხადა, რუსეთში ინიციატივა აგრონომიულ დახმარებისა ეკუთვნის საერობო დაწესებულებებსაო. ამ დახმარებამ ნამდვილი მიმართულება მიიღო ამ ბოლო დროს.

ჩვენში, კავკასიაში, მთავრობა თუმცა სცდილობდა მესამოცე წლებიდანვე დახმარებოდა სასოფლო მეურნეობას, მაგრამ ნაყოფი მცირე მოიტანა ამ დახმარებამ. იმის გამო, რომ ჩვენში დღეს „ჩინოვნიკური“ ხასიათი აქვს დახმარებას და არ არის ორგანიზაციები საზოგადოებრივ აგრონომიისა. ორატორმა თავისი სიტყვა დაამთავრა იმით, რომ კავკასიაში თავისუფალ კავშირების ორგანიზაციას უკვე გზა გაეხსნა და იმის წარსამატებლად საჭიროა ადგილობრივ თვითმართველობის შემოღება ერობათა სახითაო.

დასასრულ კრებამ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წინადადებით აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარის

---

— შუა ზამთარი იყო. ისეთი სასტიკი და ულმობელი ზამთარი, რომლის მსგავსსაც ბარის ქართველი ვერც-კი წარმოიდგენს. გავერანებულ ყინვას შეეხუთა მთელი ქვეყანა და ქალაქს შავ-ბნელი ნისლი ჩამოსწოლოდა. საღამოს ექვსი საათი არც-კი იქნებოდა, მაგრამ გარედ ქუჩის მაწანწალა დედაკაცებისა და დაგვიანებულ მუშების მეტი, სხვა კაცი არა სჩანდა. ქუჩის ფარნები საცოდავად ბჟუტავდნენ. აქაიქ, ასაქცევებში, თავ-თავიანთი ერთცხენიანი ეტლები მეეტლეებს ახურებზე ჩაემწკრივებინათ, თითონ კი ერთად შეგროვილიყვნენ და, გაყინულ სისხლის მოძრაობაში მოსაყვანად, ტახებივით ერთმანეთს ზურგით აწვებოდნენ, ეჯიკავებოდნენ. მათ შორი ახლო, სახელმწიფო არყის დუქნის კარებთან გამწკრივებულიყვნენ სამუშაოდან დაბრუნებული მუშები თუ მედროგეები და არყის მიღების ჯერს მოუთმენლად ელოდნენ: ერთმანეთს აჩქარებდნენ, ტოკავდნენ, ხელებსა და ფეხებს აბარტყუნებდნენ, თან უშვერის სიტყვით ილანძღებოდნენ.

„ეგერ ერთმა გამოიტანა ნახევარ ბოთლი არაყი, განზე ჩამოდგა, შემოჰკრა ბოთლის ძირს ხელი, საცობი ამოაგდებინა, მოიყუდა, უცბად გამოსცალა, მერე დაღრიჯა, გადააფურთხა, ვილაცას შეუკურთხა და ძუგძუგით გასწია შინისაკენ. ამის მაგალითს მიჰყვა მეორე, მესამე... მეათე! გახურდა ვაჭრობა, დატრიალდა ბოთლები. გაისმა უარესი ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა ყინვისადმი. ყინვამ-კი უფრო უმატა, გამძაფრდა, უმაღლესს წერტილამდე ავიდა. ბურუსით მოცული მიდამო უფრო ჩამობნელდა. მეეტლეები ახლა მალოყებს გადადიოდნენ, ყინულით დახვრიშული ცხენები-კი საცოდავად ძაგძაგებდნენ და ცხვირის ნესტოებიდან ორთქლის ბოლი ამოსდიოდათ.

„ჩემ მოკლე პალტოში გახვეული, ცხრად მობლენძული, გამალებით მივეშურებოდი ამხანაგისას,—დაბარებული ვიყავი. თვალებიდან სიმწარის წინწკლები მცვიოდა, ნესტოები მეყინებოდა და სუნთქვა მიძნელდებოდა... ღმერთმა დასწყევლოს აქაური ყინვები!..

„— წაგვიყვანე.. გაგვათბე... პური გვაჭამე... ლამაზი ვარ... ახალგაზდა... ცამეტის წლისა... თორმეტის... თერმეტის... ბევრი ფული არ გვინდა... მარტო ორი... მარტო სამი შაური!..—მომძახოდნენ აქედ-იქიდან ქუჩაში თავის სხეულის გასასყიდათ გამოსული ქალები და მოზარდი გოგოები.

„ერთ გადასახვევში იმდენი დედაკაცი დამეხვია, რომ კინალამ არ გამწეწეს, არ წამაქციეს და ტანისამოსი არ გამხადეს. გავიხსენე ჩვენებური კრივი, სათითაოდ ყველას ქიმუნჯი გავკარ და მოვკურცხლე...

„ამხანაგისას თითქმის მთელი კრებული დამხვდა.

„ამხანაგებს გაეჩაღებინათ სამოვარი, მოეტანათ ძეხვი, არაყი, ლუდი და განცხრომას მისცემოდნენ. იმ დღეს ერთი ჩვენი ნაცნობი კურსისტი-ქალი, ევგენია პეტროვნა,—რომელიც ჩვენი ამხანაგის დიდი მეგობარი იყო და იმავე ბინაზე სცხოვრობდა,—თავის დაბადების დღეს დღესასწაულობდა.

„მართლა, ის კი დამავიწყდა მეთქვა, რომ ოციდან თუ ოცდა ათ ქართველიდან დაბოლოს ათი-ხუთმეტი-ღა თუ ვიკრიბებოდით ხოლმე ერთად, და ისიც იშვიათად. დანარჩენები—ზოგი დაცოლშვილდა და თავის კერძო ცხოვრებას ადრევე მიეცა, ზოგნი სხვა ქალაქებში გადავიდნენ, ზოგი გადაგვარდა და რუსებს მიეკედლა, ზოგიც გაგარეულდა და სამუდამოდ ჩამოგვშორდა... ასეთ დაფანტვის შემდეგ, ათი და თხუთმეტი კაცის „ერთობაც“ დიდი საქმე იქნებოდა, რომ ამ ათსა და თხუთმეტს მაინც მართლა მტკიცე „ერთობა“ გვქონოდა, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ჩვენთაგანნიც ზოგი ალთას მიიწევდა და ზოგი ბალთას. რათა? იმიტომ რომ საერთო ცოტა რამ გვქონდა ერთმანეთში... ადამიანთა შემაერთი საერთო ინტერესი, საერთო მიზანი და საერთო მისწრაფებაა. ჩვენ კი ყველა ეს გვაკლდა და თუ ხან და ხან შევიკრიბებოდით ხოლმე, ისიც იმიტომ, რომ ან ერთად გვექეიფნა და ან ერთად გველაზღანდარავნა...

— საკვირველია, ღმერთმანი,—დავარღვიე დიდი ხნის ჩემი მდუმარება:—განა შესაერთებლად საერთო სამშობლო, მისი საერთო ჭირი და ლხინი არ გეყოფოდათ?

— ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა გრიგოლ პეტროვიჩმა:—რის სამშობლო, რა სამშობლო! სამშობლო მაშინ ეყვარება კაცს, როცა ესმის მისი ვითარება, მისი ისტორია, მისი ლიტერატურა, მისი წარსული და აწმყო. ჩვენ კი, როგორც უკვე გითხარ, უბრალო გაზეთსაც კი არა ვკითხულობდით, არამც თუ გვცოდნოდა ისტორია და მწერლობა. ჩვენ... ეჰ, რაღა ბევრი გაგიჭრელო, ჩვენ ჩვენი თავის მეტი არც არა გვწამდარა და არც არა გვიყვარდა რა. თითოეულს კი თავისი თავი ბრძენი გვეგონა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ერთმანეთს მარად ვუთვალთვალებდით და ერთმანეთის გაწბილებას არ ვერიდებოდით. ქალები, არშიყობა და ჭორეცი—აი, რა იყო ხოლმე ჩვენი ლაპარაკის საგანი! ჩემდა თავად ქალებისა და არშიყობის წინააღმდეგ არა მაქვს-რა—როგორც უკვე ჰხედავ შენის ბეჭნიერის თვალით,—მაგრამ თვალთ-მაქცობა და ჭორები კი ძალიან მ ჯავრება და კარგს ინებებდნენ ჩემი ამხანაგები, რომ ისინიც ჩემსავით გულ-ახდილები ყოფილიყვნენ!.. ან კი რა ჩემი საქმეა სხვის განსჯა! ღმერთმა ყველას თავის გზით უშველოს... მე თუ გელაპარაკები, მხოლოდ იმიტომ, რომ მოვიგონო, გავიხსენო ჩემი ყმაწვილობა, ჩემი ვინაობა და ამითი გავერთო ამ მოწყენილობაში... ახ, სად არის გუშინდელი გოგონა, ამდენს ხომ აღარ გეყბედებოდი? ხა, ხა, ხა!—მოულოდნელად გადაუხვია გრიგოლ პეტროვიჩმა და პაპიროზი გააჩაღა.

ჩვენ შორის სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმე მკვდრული, გამოუთქმელი... გრიგოლ პეტროვიჩი გულ-აღმა გაიქიმა და ორთქლმავალივით ცხვირიდან პაპიროსის ბოლს უშვებდა. მეც ვიჯექ გაუნძრევლად და ფიქრებით შორეულ წარსულსა და სადღეისო ყოფნას გამოვკიდებოდი...

ია ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)

ამხანაგად არჩეულ იქმნა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი თავ. ალ. მ. არგუთინსკი; მეღვინე-მევენახეობის სექციის თავმჯდომარედ ბ. თუმის ქალაქის თავი—თავ. ივ. ზ. ანდრონიკაშვილი, მდივნად მ. ვერმიშევი; საცდელ მინდვრების სექციისა — თავმჯდომარედ ვ. მარკოვიჩი, მდივნად კალვერტი; წვრილ კრედიტისა—ა. ფირალოვი, მდივნად ე. კანჩერი; მერძევე-მეყველეობის სექციისა—ა. ა. ქალანთარი და მდივნად ა. ზ. თამამშევი. საზოგადო კრების მდივნებად არჩეულ იქმნენ ნ. ნ. პროსტოსერდოვი და მ. ა. ვერმიშოვი.

საზოგადოების საბჭოს დამსწრენი მიიწვია სალამოს 8 საათისათვის ჩაიზე. სალამოთი კრების წევრებმა ერთმანეთი გაიცნეს და კერძო ლაპარაკი იქონიეს სხვა და სხვა საგნებზე.

გუშინ, 16 ნოემბერს, დილითა და სალამოთი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა მეღვინე-მევენახეთა სექციისა. სექციამ რამდენიმე მოხსენება მოისმინა და ბოლოს რეზოლიუციები მიიღო.

სექციების სხდომები ასეა დანიშნული: მეღვინე-მევენახეთა სექციის სხდომები მოხდება 18 ნოემბერს დილით და 19 ნოემბერს სალამოთი; მერძეობის სექციისა—17 და 18 ნოემბერს სალამოთი და 19 ნოემბერს დილით; წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა სექციისა—18, 20 და 21 ნოემბერს დილით, ხოლო საცდელ მინდვრების სექციისა—20 ნოემბერს სალამოთი და 22 ნოემბერს დილითა და სალამოთი. მეურნეთა საზოგადო კრებები მოხდება 19, 23 და 24 ნოემბერს სალამოობით.

## სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის საზოგადო კრება

კვირას, 15 ნოემბერს, ტფ. სათ.-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდა საზოგადო კრება სახალხო წარმოდგენების გამმართველ წრისა. დილის 11 საათისათვის უკვე აივსო ხალხით დარბაზი, მაგრამ სხდომის დაწყება შეგვიანდა იმის გამო, რომ წრის გამგეობას თათბირი ჰქონდა სხვა და სხვა საკითხზე. შემდეგ კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ილია ზურაბიშვილი და შეუდგა განსახილველ საქმეთა გარჩევას. პირველად დამტკიცებულ იქმნა წასულ საზოგადო კრების ოქმი

სიტყვა მოითხოვა ბ-ნმა ლორთქიფანიძემ და განაცხადა, ვიდრე ჩვენ აქ დანიშნულ საქმეების განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა კრებამ განხორციელოს ჩემი განცხადება. მე ვითხოვ, რომ წრემ შეაჩეროს მოქმედება და მოუცადოს სახალხო უნივერსიტეტის კრების გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაუქმდეს თუ არა უნივერსიტეტის გამგეობასთან არსებული სახალხო წარმოდგენების სექცია.

თავმჯდომარემ ორატორს სიტყვა არ დაამთავრებინა, რადგან, ის საკითხი, რომელიც ლორთქიფანიძემ წამოაყენა, თავმჯდომარეს აზრით, არ იყო შეტანილი განსახილველ საქმეთა სიაში. ზოგიერთმა მოითხოვა ლორთქიფანიძეს ნება მისცემოდა, სიტყვა დაემთავრებინა, მაგრამ თავმჯდომარემ არ შეიწყნარა და საჭიროდ სცნო საკითხების იმ რიგზე განხილვა, როგორც სიაში იყო აღნიშნული.

ამის შემდეგ გამგეობის წევრმა ბ-ნმა ნ. ელიავამ წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გააკეთა გამგეობამ ამ ერთი თვის განმავლობაში. ბ. ელიავამ ის იყო დაიწყო სიტყვა, მაგრამ კვლავ გაისმა: ნება მიეცით, მუშამ ლორთქიფანიძემ თავისი განცხადება დაამთავროსო. მერე დამსწრეთა ერთი ჯგუფი დემონსტრატიულად გავიდა დარბაზიდან. ბ-ნმა ელიავამ გააცნო დამსწრეთ ის ლონის ძიებანი, რომელნიც იხმარა გამგეობამ, რომ რამენაირად მომხდარიყო შერიგება წრისა და სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, წრის საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას, მოლაპარაკებოდა უნივერსიტეტის გამგეობასა და სექციას. ამ მოლაპარაკებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყოლია. უნივერსიტეტის გამგეობას გამოუთქვამს პრინციპიალური აზრი, რომ იგი წინააღმდეგ არ არის წრის დამოუკიდებლად მოქმედებისა, თუ წესდება შეიცვლება, მაგრამ საბოლოოდ საკითხი სექციის ლიკვიდაციის შესახებ სახალხო უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო კრებას უნდა წარედგინოს, მანამდე კი სექცია უსათუოდ უნდა შეივსოს და მან უნივერსიტეტის სახელით განაგრძოს სახალხო წარმოდგენების მართვაო. როგორც ჰხედავთ,—განაცხადა ელიავამ,—კონფლიქტი, სამწუხაროდ, გამწვავდა, რადგან ყოველსავე დაბრკოლებას გვიყენებენ, რომ ის წრე, რომელსაც 17 წლის განმავლობაში უმოქმედნია, თავის სახელით გამოვიდეს სამოქმედოდ და არავინ იყოს მისი ბატონ-პატრონი. თუ გამგეობა აქამდე არ მოქმედებდა წრის სახელით, ეს მიტომ, რომ არ უნდოდა საქმე უფრო გაემწვავებინა და რადგან აღარა გაუვიდა-რა, ეხლა საზოგადო კრებას სთხოვს, დაადგინოს, რა ჰქნას გამგეობამ და როგორ მოიქცესო.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმ წინადადებამ, ეხლავე შეუდგეს წრე დამოუკიდებელ მოქმედებას, თუ კიდევ გამართოს მოლაპარაკება სახალხო უნივერსიტეტთან. გ. მ. ლასხიშვილი, ირ. რამიშვილი და ზოგიერთი სხვანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ერთხელ კიდევ ცდილიყო გამგეობა უნივერსიტეტთან შეთანხმებას. ნიკო ელიავა, გამგეობის ზოგი წევრი და დამსწრეთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო მოლაპარაკების განგრძობისა. ბოლოს კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, წრის გამგეობამ დაუყოვნებლივ დაიწყოს დამოუკიდებელი მოქმედებაო.

ამის შემდეგ კრება შეუდგა წესდების შეცვლას. კრებამ ათამდე მუხლი შესცვალა და შეუთანხმა დემოკრატიულ მოთხოვნილებას. საწევრო ფული, 3 მანეთის ნაცვლად დაწესდა 1 მან., ხოლო ერთ დროული შესატანი, 30 მან. ნაცვლად, 10 მან. მე-10 მუხლით წრის წევრთა რიცხვი 60 კაცით იყო განსაზღვრული. დაადგინეს 300 კაცი იყოს. კრებამ შესცვალა აგრეთვე მე-14 მუხლი. საზოგადო კრების მოწვევა შეიძლება 10 წევრის განცხადებისა გამო ანუ გამგეობის სურვილით და სხვა

წესდების ახალს პროექტს გამგეობა მალე წარადგენს დასამტკიცებლად და, კრების წინადადებით, შემდეგ წესდებას ქართულადაც დაბეჭდავს.

დასასრულ კრება შეუდგა გამგეობის დამატებითი წევრთა არჩევანს. გამგეობამ მოახსენა კრებას, რომ ტოროშელიძე და სვირელი გამგეობის წევრობაზე ხელს იღებენ, რათა თავიდან აიცილონ ის ხმები, რომელიც მათ შესახებ არის გავრცელებულიო. ნ. ელიავამ განაცხადა, მთელი გამგეობა დროებით არის არჩეული და მარტო ორი წევრი რად მიდისო. კარგი იქნება, ისინიც დარჩნენ და როცა ახალ წესდებას მივიღებთ, ახალ გამგეობას ავირჩევთო. კრების თხოვნით, ტოროშელიძე და სვირელი დარჩნენ გამგეობაში. კრებამ აირჩია კიდევ ოთხი ახალი წევრი: სცენის მოყვარეთა წინადადებით გამგეობაში არჩეულ იქმნენ ქ-ნი ან. ქიქოძე და ბ-ნი დ. ბაქრაძე, ხოლო მუშების მხრივ ერკალანდაძე და პარმენ საბაშვილი.

დასასრულ კრებამ დაამტკიცა სია სცენის მოყვარეთა და აირჩია 30-მდე ახალი წევრი. სხდომა ნაშუადღევის 4 საათზე დასრულდა.

## მოწერილი ამბები

**ქიზიყი.** მშვენიერი დღეები დგას ჩვენში გაზაფხულის დღეებს ჰოგაგონებთ. 30 ოქტომბერს ისეთი ჭექა-ქუხილი იყო, რომ სრულებით დაგვავიწყდა, რომ ადარაფერს აღარ დაგვისეტყვავს. მაინც მოვიდა სეტყვა კედ-მეყესზე და მახხაანის მხარეს. სოფლებში გახადებული ქორწილებია. ამას ხელს უწყობს კარგი პურის მოსავალი. ღვინო თუმცა ნაკლები იყო, მაგრამ ძალიან კარგის თვისებისა და კარგ ფასშიაც იყიდება. არ იქმნა და არ გვეღირსა კახეთში ღვინის ვაჭრობის მოწყობა! ღვინო ისევ დალალებისა და ჩარჩების ხელშია. ამ მოკლე ხანში გავრცელდა ხმა და გაზეთშიაც ამოვიკითხეთ, რომ მეღვინეთა რამდენიმე საზოგადოება უერთდება „კახეთიას“-ო. ვნახოთ, გამართლდება თუ არა ეს ხმა. დიახ, ღვინო ცოტა მოვიდა და კარგის ღირსებისა, მაგრამ ნამდვილი მეომღვლი [illegible] არა სჩანს სოფლებში. წინად თუ ეშინოდათ ძარცვა-გლეჯისა, ეხლა ამ მხრითაც საქმე გამოკეთდა, არავითარი ავ-კაცობა არ არის.

ძალიან საჭიროა ქიზიყში წვრილ-კრედიტის ამხანაგობების დაარსება. საჭიროა აგრეთვე კოოპერატიულ მომხმარებელ ამხანაგობათა დაარსება. უნდა დაარსდეს როგორმე სამეურნეო იარაღის საწყობები. სოფლებში ძალიან ბევრი ეხლა მოსურნეა სიდეწვ მანქანის შეძენისა. არიან მსურველნი ორთქლის გუთნის ყიდვისაც. საჭიროა, რომ რომელიმე ფირმის წარმომადგენელი მოვიდეს აქ. დარწმუნებული ვარო, დიდს საქმეს გააკეთებს. იმ წ. ნაზე „დროების“ დამატებაში იყო წერილი ორთქლის გუთნის შესახებ. საჭიროა პრაქტიკული ცნობები იმის შესაძენად.

ძალიან ბევრს გვწვადება ხალხი ამ კენჭობის დროს. ჯერ ერთი, ამოდენა ხალხი იყრის თავს სიღნაღში და მთელი კვირაობით თითო კენჭის ამომღებთან ერთად ოჯახიდან ორი-სამი კაცი ცხოვრობს სიღნაღში. სულ რომ ცოტა ერთი თუმანი მაინც დაუჯდება თვითო ოჯახს. გარდა ამისა, საშინელი დროთობა და უზრდელობაა ქუჩებში. ქალს ვერ გაუგდია, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენონ. კარგი კი იქნებოდა საკრებულო ეველს საბოქაულოში ცალკე მოქმედებდეს. გარდა ამისა, „აბლაკატები“ სვავებივით დასდევენ და ატყავებენ ისეც გატყავებულ ხალხს. ნეტავი როდის მოეღება ბოლო ყველა ამას?

სიღნაღის თვით-მმართველობამ აღძრა საკითხი ჩვენში ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საკითხი მხოლოდ „მანევრა“ იყო ქალაქის თავის ადგილის შესანარჩუნებლად ეხლანდელ ქალაქის თავის ენიკოლოფოვისთვის მხრივ. პროგიმნაზია, რასაკვირველია, ჩვენ, ქიზიყელებს, არ გვაწყენს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენთვის უფრო საჭიროა სამეურნეო სასწავლებელი ტეხნიკურის განყოფილებით. სიღნაღში 14 ათასი მცხოვრებია, ხოლო მაზრაში 100 ათასამდის. ძალიან ადვილია მაზრაში ერთი კი არა, რამდენიმე სასწავლებელიც დაარსდეს, თუ კი მოთავე ეყოლება.

მეთვალყურე.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** „ლალატი“ საყვარელ პიესად გადაიქცა. არც გასაკვირველია. აქ იხატება მოკლედ ჩვენი წარსული დაუდგომელი დრო, ბრძოლა მტარვალობასთან, სურვილი თავისუფლების მოპოვებისა, მისწრაფება მონობის უღლის მოშორებისა. მარტო ჩვენ კი არა, სხვებსაც მოსწონთ. იშვიათად მოიპოვება რუსეთში ისეთი ქალაქი სადაც ეს პიესა არ ეთამაშოთ და არ თამაშობდნენ დღესაც. თვით მე დავესწრებივარ ამ პიესის წარმოდგენას რუსეთის ისეთ ქალაქებში, როგორნიც არიან ასტრახანი, ცარიცინი, სარატოვი და ყველგან აღტაცებაში მოსულან. უცხო ადამიანთა თვალწინ იშლება ჩვენი სულიერი ძალა, უცხო საზოგადოება ეცნობა იმ „აზიელ“ ქართველებს, რომლის შესახებაც ბევრს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.

ვიმეორებ, მრავალ მხრითაა საყვარელი ჩვენთვის ეს პიესა და გვიყვარს კიდეც. უნდა გენახათ, განცხადების გამოფენის მეორე დღეს რაოდენი ხალხი მიესია თეატრის კასას ბილეთების შესაძენად.

ხუთშაბათის წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა, გაცილებით უკეთ, ვიდრე შარშანდელ სეზონში. მართალია სცენების მხრივ გულდაწყვეტილნი ვართ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს მსახიობთა ბრალი არ არის. ჩვენი სცენა მეტად ღარიბია. ელვა ქუხილი, წვიმა, ქარიშხალი ჩვენი სცენისათვის უცნობი ხილია „ლალატის“ მეოთხე მოქმედება და თვით ძლიერი სურათი მეტეხის აფეთქებისა ამ ნაკლისა გამო მეტად სუსტდება, მაგრამ მსახიობთ ამისთვის საყვედური არ ეთქმით.

ძლიერ მოსაწონი იყო პირველსა და უკანასკნელ მოქმედებაში სულეიმანის სასახლეში გამართული შადრევანი, საიდანაც წყალი ამოჩუხჩუხებდა. დეკორაციები არ იყო ურიგო, მხოლოდ სცენის სიპატარავე აჭირვებდა საქმეს. მეორე სურათში ოთარბეგის სახლი თითქმის შუაგულ სცენაზე დადგეთ და ისედაც მცირე ადგილს სული შეუხუთდა. მასსიურ სცენებს, რომლებიც ამ სალამოს სასურველად ვერ იყო მოწყობილი, ამ სივიწროვემ უფრო შეუშალა ხელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ მოქმედებაში, იმ დროს, როდესაც რუქაია სულეიმანს ზღაპარს უამბობს ზეინაბი თარზე უნდა უკრავდეს. ეს მეტად უხდება პიესის დედა-აზრს. აქ კი ეს მშვენიერი სურათი გამოსტოვეს. ნუ თუ მთელს ქუთაისში თარი და თარზე დამკვრელი ვერ იშოვნეს?

მესამე მოქმედებაში ანანიასა და საბა ბერის ბაასის დროს სრულიად უადგილოდ (ალბად უკაბედად) კულისებში თოფი გაუვარდათ და სერიოზული წამი მოთამაშეთ შეშფოთებად გადაიქცათ. ხალხის თანაგრძნობამ ზოგ ადგილას გადააჭარბა კიდეც: ციხის აფეთქებასას ისეთი ხმაურობა ასტყდა თეატრში, ხომ სიმშვიდის დამყარებას კარგი დრო მოუნდა.

მოთამაშეთა შორის, ზოგნი ბევრჯერ გვინახავს დედოფალი ზეინაბი, ნინო ჩხეიძე, ჩვეულებრივ სიმაღლეზე იდგა. ძლიერი მონოლოგი მესამე მოქმედებაში მართლა ძლიერი იყო, უფრო შესანიშნავი იყო უკანასკნელი სცენა, სადაც მსახიობმა მეტად მრისხანე და მაგარი კილოთი გამოგვცა დატანჯულ დედის და დედოფლის სულის-კვეთება.

ოთარ-ბეგი ბ-ნი გუნია ჩვეულებრივად კარგი იყო. მესამე მოქმედების დასასრულ, როდესაც საბა ბერი ჯვრით ხელში მიჰმართავს და წარმოსთქვამს „ქრისტე აღსდგაო“, ოთარი თრთოლვით და ხმის ცახცახით უპასუხებს „ჭეშმარიტადაო“. ეს ადგილი მეტად მგრძნობიარე და საყურადღებოა. ბ-ნმა გუნიამ ჩვეულებრივად არ წარმოსთქვა ეს სიტყვა და უხმოდ აკოცა ჯვარს. ან შეიძლება ისე ჩუმადა სთქვა, რომ არავის გაუგონია.

მშვენიერი, თითქმის უნაკლულო რუქაია იყო ქ-ნი ანდრონიკაშვილისა, საყვარელი გაიანე იყო ქ-ნი დავითაშვილი. გულ-უბრყვილო, უმანკო გვრიტი, მთებში გაშლილ-გაფურჩქნილი ყვავილი, ცქრიალა და მოქიკჭიკე მერცხალი. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ სრულიად უადგილოდ მიგვაჩნია, როდესაც გაიანე უკანვე გამოირბენს კისკისით სცენაზე იმ დროს, როდესაც სულ სხვა ხასიათის მოქმედება სწარმოებს. დათასთან შეხვედრა სულ ერთია, რომელი მხრიდანაც უნდა მოხდეს, ამისათვის სრულიად საჭირო არ არის სცენის მეორე მხარეს გადარბენა.

ბ-ნი ყალაბეგიშვილი ანანიას როლში ჩვეულებრივად დინჯი და დაკვირვებული იყო. დათოს როლში ბ-ნ მურუსიძეს ვაჟკაცობა და რიხი აკლდა.

მოლოდინის წინააღმდეგ სუსტი ერეკლე იყო ბ-ნი დ. ჩარკვიანი. იმის თამაშს უგულობა და უგემურობა ეტყობოდა ამ სალამოს. აკლდა ის ცეცხლი, რომელიც ერეკლეში იფეთქებს ხოლმე, მეტადრე მაშინ როდესაც მოტყუებულად იგრძნობს თავს ჯერ ზეინაბისაგან და შემდეგ რუქაიასაგან.

ბ-ნი შალვა დადიანი—ჩვენთვის სრულიად უცნობი სულეიმანი იყო. ვინ არ გვინახავს ამ როლში? მრავალი. მაგრამ მათში თითქმის ყველაზე სუსტი სულეიმანი იყო. ჩვენ ვენ ვხედავდით ამ მკაცრ სულეიმანს, რომლის ძლიერებაც იხატება არა მარტო სიტყვებში, არამედ ხმაში, მიხვრა-მოხვრაში, თვით მდუმარებაშიაც. უკანასკნელი მისი მონოლოგი, როდესაც სულეიმანის ხმა უნდა გრგვინავდეს და მრისხანებდეს, ისე ჩვეულებრივად ხმა-ამოუღებლივ წარმოსთქვა, თითქოს არაფ აგდებდეს ყოველსავე იმას, რაც იმის გარშემო ხდებაო.

ჩინებული ბესო იყო ბ-ნი ბალანჩივაძე. მოხდენილად ღიღინებდა „თარი-არალეს“. მაგრამ ეს ვერაა კარგი, რომ ღვინოს ოთარ-ბეგს ყანწით უზიდავს სახლიდან. უმჯობესია ყანწთან ერთად ღვინო დოქით შემოიტანოს და არ გარბი-გამორბოდეს სცენაზე ყანწით ხელში.

ბ-ნი კორიშელი სუსტი საბა-ბერი იყო. შეგნებულად და დაკვირვებით თამაშობდა ყარა-იუსუფს ბ-ნი ბარველი. ისახარი (ქ-ნი ივანიძისა) კარგი იყო.

ერთ დიდებულს, რომელსაც სულეიმანისათვის ლალაბანდი უნდა მოეგლიჯა სულ ექვსი სიტყვა ჰქონდა სათქმელი. ექვსში ორ სიტყვა-ნახევარის მეტი ვერ გაიზეპირებინა და დახეთ ხიფათს, იმ დროს დამუნჯდა და ლალაბანდისაკენ გაწვდილი ხელი გაეყინა, ხალხს სიცილი შესკდა...

ჯაფარ-ფაშა

—

**ქართული თეატრი.** კვირას, 15 ნოემბერს, წარმოსადგენად გამოცხადებული იყო ახალი პიესა „პარტიის ქალი?!“ ამ პიესის დადგმა აკრძალეს, მსახიობებმა წარმოადგინეს „სამშობლო“. ურეპეტიციოდ დადგმული წარმოდგენა, რასაკვირველია, სუსტი იქნებოდა. „სამშობლო“ თუმცა ბევრჯელ უთამაშნიათ ჩვენს მსახიობთ, მაგრამ მომზადება მაინც ყოველთვის საჭიროა. ამ სალამოს მსახიობნი უგულოდ თამაშობდნენ. ხიმშიაშვილის როლს ზარდალიშვილი ასრულებდა, ქეთევანისას—ქ-ნი კოლხიდელი, შაჰის გედევანოვი, ლეონიძისას—გამყრელიძე. ზარდალიშვილი და კოლხიდელი კარგები იყვნენ. განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში. ვინც პირველ თამაშობის დროს ნახა კოლხიდელი, დაგვეთანხმება, რომ ეხლა—ბევრად უკეთესი იყო. ხალხი შედარებით ცოტა დაესწრო.

**ავლაბრის თეატრი.** შაბათს, 14 ნოემბერს, სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქმნა ვ. გუნიას „დაძმა“. კარგები იყვნენ ვ. მტარაძე (ოტია) ს. სვიმონიძე (გაიოზი), ვ. მჭედლიშვილი (ადამია), სალაყაია (ფაშა) არა უშავდარა თავის პატარა როლში მირველოვს, მხოლოდ ტანისამოსი ვერ ჰქონდა შესაფერი. დანარჩენნი სუსტობდნენ. სუსტად იყო აგრეთვე სიმღერა ციხეში

დარბაზში უწესობა იყო. სასურველია, თვითონ საზოგადოებამ დაიცვას წესიერება. ამას გარდა, ფარდას ყოველ ქართულ წარმოდგენებზე რაღაც ღმერთი უწყრება—შუა ალაგას გაიჩხირება ხოლმე და ვერც მაღლა ადის და ვერც ძირს ეშვება. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, ხელით ჩამოსწევენ ხოლმე. რეჟისორის ხელი სრულებით არა სჩანდა.

ხალხი საკმაოდ დაესწრო. წარმოდგენა დაიწყო 9 საათზე. საჭიროა შემდეგ მაინც ადრე დაიწყონ. საზოგადოდ, ავლაბრის თეატრი უყურადღებოდ არის დატოვებული. საჭიროა სცენის მოყვარეთ ყურადღება მიაქციონ რეპერტუარსა, მოიწვიონ გამოცდილი რეჟისორი და სხვა

გრი—გრი.

## წერილი რედ. მიმართ

ვთხოვთ, პატივცემულ რედაქციას ადგილი მისცეს მცირე შენიშვნას ალექსანდროპოლიდგან მოწერილი კორესპონდენციის გამო (იხ. „დროება“ 28 ოქტომბრისა, № 236).

ქართული სალამოს გამართვა განვიზრახეთ პირველად შარშან ნოემბერში, როდესაც აგა ის იუბილესთვის ვემზადებოდით. ვფიქრობდით, სალამო გაგვემართა 14 ს იანვარს, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგანაც შესაფერი დარბაზი ვერ ვიშოვეთ სადაც უნდა გაგვემართა სალამო, გარდა სამხედრო კლუბებისა, სივიწროვის გამო შემოსავალი გასავალსაც ვერ დაფარავდა. სამხედრო კლუბებში [illegible] სალამოს [illegible] გამართვა [illegible] სასწავლებლის ახალ დარბაზში. საერთო სამზადისში ვიყავით, ქართულ ხაროს ია კარგარეთელის მეთაურობით დღე-დღეზედ ველოდით, როდესაც დარბაზის პატრონებმა სრულიად მოულოდნელად უარი გვითხრეს, ვითომც ჯერ დარბაზი რიგიანად გათავებული და მოწყობილი არ არისო. ამნაირათ კიდევ ჩაგვეფუშა თითქმის სრულიად მომზადებული საქმე.

აშკარაა რომ მარტო დაუდევრობით არ აიხსნება ქართულს სალამოს მოუწყობლობა ალექსანდროპოლში.

ბ. ცირსაძე.
გ. ჩხეიძე.


კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ზაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—218)

ყვირილაში
„სორაპანის“ წიგნის მაღაზიაში იყიდება
აკაკის კრებული
სრულის წლის კომპლექტი 1 მან. 50 კაპ.
ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს ყვირილაში „სორაპანის“ წიგნის მაღაზიას.
(5—6.—4)

ზღაპრები
ქართლში, კახეთში და ფშავში
შ ეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ
დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—5)




ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

ა დ რ ე ს ი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—90)